ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №126

20 მაისი 2013 წ.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემი მიწის ნაკვეთების შერჩევის კომისიის შექმნის შესახებ

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემი მიწის ნაკვეთების შერჩევის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– ვლადიმერ ლომთათიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

– ნინო სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში– კომისიის მდივანი;

– გიორგი სიმონია – მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში - წევრი.

– გოგი ბოლქვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში - წევრი.

– კახი მეფარიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი გარემოსდაცვის საკითხებში - წევრი.

– ერეკლე მრელაშვილი – მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე – მოწვევა;

– შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

2. კომისიამ უზრუნველყოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (წითელი ხაზების დატანით) შერჩევა მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად.

3. დაევალოს ქონების მართვის სამსახურს (ვ. ლომთათიძე) მოამზადოს დოკუმენტაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარსადგენად შერჩეული მიწის ნაკვეთების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 თებერვლის ბრძანება №26 – „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემი მიწის ნაკვეთების შერჩევის კომისიის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*